№ 205 სექტემბრის 22, შაბათი. 1866—1884 სექტემბრის 22, შაბათი. № 205

ტფილისი ... საჯარო ბიბლიოთეკა

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

„დროების" რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба".

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ., 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე, რუსულ ენაზე განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. А. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების" ფასი ოქტომბრის 1-დამ წლის დამლევამდე 3 მანათი.

### ერთის წერილის გამო.

თბილისი, სექტემბრის 22-ს.

ჟურნალის «იურიდიულს მიმოხილვის» უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია წერილი ბ. რაშეტისა, რომელსაც მიუქცევია ყურადღება ჩვენის ადვოკატების შემდეგის უმართებულო ხერხებისათვის. ხშირად ადვოკატი ხელ-წერილით ეკვრის თავის კლიენტს, რომ მას არა ჰქონდეს ნება საქმის მორიგებით გათავებისა, თავის ადვოკატის დაუკითხავად; არ ჰქონდეს ნება საქმის გამორთმევისა და სხვა ადვოკატისადმი ჩაბარებისა. ყოველ ამისათვის კლიენტი მოვალეა ჯარიმა გადაიხადოს.

ბ. რაშეტი სამართლიანად ამბობს, რომ ამ გვარი მუხლები ხელ-წერილისა უკანონოდ უნდა იყვნენ ცნობილნი, რადგან, თუ ამ გვარად ისპობს თავის თავისუფლებას კლიენტი, ისპობს იმიტომ, რომ გარემოებას ძალა-დაუტანებია და სხვა გზა არა აქვს. ყოველი ამ გვარი პირობები, გამოწვეულნი უკიდურესს მდგომარეობისაგან, უნდა უარყოფილ-იქმნენ და კანონი უნდა ეწინააღმდეგებოდეს მათ შემდგენელთ, როგორც ეწინააღმდეგება მოვახშეთ, რომელნიც გაჭირვებულს ხალხს მამასისხლად ასესხებენ ხოლმე ფულს და ხშირად თავნს ერთსა და ორ წელიწადში აორკეცებენ და ასამკეცებენ. მეორე საშუალებად ამ გვარი უწესო მოქმედების მოსპობისათვის, ბ. რაშეტს მიაჩნია წესიერად დადგენილი წოდება ნაფიც ვექილთა, რომელთაც უნდა ჰქონდეს შემუშავებული ზნეობითი პრინციპები და ამ პრინციპების გადახვევა დამნაშავეს წოდებიდამ გამორიცხვად უჯდებოდეს.

ორივე, ბ. რაშეტისაგან ნაჩვენებნი საშუალებანი, ეკუთვნიან იმ გვარ საშუალებათ, რომელთაც პალიატიურს ეძახიან; იქნება მათ, ცოტაც არის, შელაგმონ სინიდის-გადასული ვექილები, მაგრამ თვალ-საჩინო სარგებლობის მოტანა კი არ შეუძლიანთ. მოვახშეთა წინააღმდეგ მიმართულმა კანონმა ვერსად ვერ მოსპო ფულის უკანონო და უზომო სარგებლით გაცემა; სადაც ერთის მხრით დიდი ფულის პატრონები არიან და მეორე მხრით მეტად გაჭირვებული ხალხი, იქ ორივე მხარე მოწადინებულია კანონს გადაუხვიოს, ოღონდ თავისი წუთიერი სურვილი დაიკმაყოფილოს.

პირიქით, ხშირად მოვახშეთა წინააღმდეგ მიმართულს კანონს გამოუწვევია უფრო მეტი სარგებლის აღება მოვალეთგან, რადგან იმის შიში, ვაი თუ თავნიც დავკარგო და სარგებელიცაო, იძულებულსა ჰხდის მოვახშეთ მხოლოდ იმისთანა პირებს ასესხონ ფული და ასესხონ მართლა საშინელი სარგებლით, რომელთაგან გაცემას არ მოელიან. ჩვენ გვიკვირს, რომ ბ. რაშეტს წარმოუდგენია, ვითომ, კანონმა თუ აკრძალა ზემოხსენებული პირობების დადება, სხვა ხრიკებს ვეღარ მოიპოვებენ ათას-გვარად ტვინ-მოქნილი ადვოკატები თავიანთ კლიენტების დასაჩაგრავად. რაც შეეხება ნაფიცთა ვექილთა კასტის დაწესებას ამ სენის ასაცილებლად, ეს კიდევ საეჭვოა, რა ურჩევნია უბრალო ხალხს: ნაფიც ვექილთადმი მიმართვა, თუ უბრალო ადვოკატებთან წასვლა. მოგეხსენებათ, რომ ნაფიცი ვექილები ცოტა არისტოკრატები არიან და უბრალო საქმისათვის თავს არ გაიცხელებენ. გლეხი თუ მიმართავს ხოლმე რომელსამე სოფლელ ადვოკატს და არა საადვოკატო ასპარეზზედ ბრწყინვალე ვარსკვლავს, განა იმიტომ, რომ არ ესმის უკანასკნელის უპირატესობა; არა, ამას იმიტომ სჩადის, რომ გამოჩენილს ადვოკატს, ან თუნდ უბრალო ნაფიცს ვექილს, არა აქვს დრო მისის საქმის მოსმენისათვის და ხშირად უთარჯიმნოდ ვერაფერს გაიგებს. შინაური სოფლელი ადვოკატი თუმცა მოატყუებს, მაგრამ სამაგიეროდ იმის ენაზედ ხმას გასცემს, იქნება, საქმესაც ჩაუკვირდეს და ისე გამოვიდეს იმის დასაცველად.

მაშ რა უშველის ამ სენსაო, უეჭველია, იკითხავს მკითხველი. სწორე მოგახსენოთ, ამ კითხვაზედ პასუხის მიგება ძნელია. უზნეოთა უზნეობის აღმოფხვრა მხოლოდ პატიოსნების გავრცელებას შეუძლიან, რომელიც შედეგი უნდა იყოს რამდენიმე შთამომავლობის ზნეობრივად აღზრდისა და განვითარებისა, მაგრამ ვიდრე ამას მოვესწრობოდეთ, ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ ერთს მიზეზს ჩვენის ხალხის ადვოკატებისგან დაჩაგვრისას, რომელიც უმთავრესთაგანებში უნდა ჩაითვალოს.

რაც უნდა ადვილი საქმე გაუჩნდეს ჩვენს კაცს, რაც უნდა უბრალო არზა ჰქონდეს დასაწერი, მაინც ადვოკატს იქით გზა არა აქვს, რადგან მხოლოდ ადვოკატს ესმის ის ენა და ის ფორმები, რა ენასა და ფორმებზედაც სამართალი სწარმოებს. სიტყვიერი გარჩევა საქმისა და სიტყვიერადვე გადაჭრა სამართლისა უარყოფილია და მათ მაგიერობას ჩადიან უხეირო ადვოკატებისაგან დაბღაჯნილი არზები და ხალხისათვის სრულიად გაუგებარი პროტოკოლები. მოაწყეთ ისე საქმე, რომ ხალხს ესმოდეს ის ენა, რა ენაზედაც მას ასამართლებენ, მიიღეთ მათგან სიტყვიერი საჩივარი და მას შეუძ-

«დროების» ფელეტონი, სექტ. 22-ს

### ხევის ბერი

გოჩა.

(მოთხრობა *)

#### XIII

მოთავეთ დიდხანს ლაპარაკი არ დასჭირდათ, რადგანაც ყველას წინადვე ან სიკვდილი, ან თავისუფლება ჰქონდათ გადაწყვეტილი. იქმნენ ამორჩეულნი ჯარის მოთავენი, ბელადნი, ქამანდარნი და შუა-კაცნი, რომელნიც მთიულებთან მოსალაპარაკებლად უნდა გაეგზავნათ.

ყველაზედ უფროსობა და განკარგულების მიცემა-კი უფლებისამებრ ბოჩამ მიიღო თავის-თავზედ.

ამ ჩვეულებრივი მოლაპარაკებისა და გადაწყვეტილების შემდეგ, რომელშიაც ხალხის სურვილი და წადილი გამოითქმოდა, ბოჩამ შუა-კაცები მთიულეთს გაამგზავრა და ყრილობა-კი დაითხოვა, რათა სამის დღის განმავლობაში მომზადებულიყვნენ, მოწყობილიყვნენ და ქუდზედ კაცი სიონის მინდორზედ გამოსულიყო, რადგანაც მტერს ამ ადგილებში უპირებდენ გზის შეკვრას.

ხალხი დაიშალა და წავიდ-წამოვიდა, ბოჩასა და სოფლის მედროშეთა გარდა, რომელთაც უკანასკნელად უნდა ელოცათ და ხევის კეთილ-დღეობა შეევედრებინათ ღვთისთვის.

მომავალ ხალხში, სხვათა შორის, ონისეც ერია და ძალზედ გამალებული მიდიოდა თავის სოფლისკენ, სადაც დიდი ხნის უნახავს ძიძიასთან შეხვედრის ნეტარება მოელოდა.

ტოლ-სწორნი, რომელნიც ონისეს გარს შემოხვეოდენ, არ უსვენებდენ თუშების და ფშაველების ამბის გამოკითხვით, მაგრამ ონისე მხოლოდ ერთს საგონებელს წაელო და ამისთვის უსიამოვნოდ და მოკლედ უპასუხებდა.

ისინი ჩამოვიდენ იმ ადგილს, სადაც ხევის ქალი და რძალი სამების ქედს მოსდებიყო: შავკილსა, ხახამასა და ქუზსა ჰკრებდა.

— უყურეთ, ონისევ! ქალები ცხრასავით არ მოსდებიან ამ ველსა, უთხრა ონისეს ვიღაცა მოხევემ და გაიშვირა ქალებისკენ ხელი. ონისემ მხოლოდ იმისთვის მიიხედა იქით, რომ თავიდგან მოეშორებინა თავის-მომძულებელი მოსაუბრე, რომელიც უშლიდა თავის ფიქრებს დაჰკვირვებოდა და მთლად გულის მოძრაობას ჩაჰპრუნებოდა. მაგრამ, რა წამს მიიხედა, რა წამს თვალი გადაავლო იქაურობას, გული როგორღაც შეუთამაშდა, რამდენჯერმე გაიბრძოლა და შესდგა. ონისე შეჩერდა, გაფითრდა და შუბლზედ ხელი გადისვა.

— რა მოგივიდა? ჰკითხა ამხანაგმა, რომელმაც პირისახეზე ცვლილება შეატყო.

— არც რაი, არც რაი... საჩქაროდ უპასუხა ონისემ და ბოლოს დაუმატა: — ჭაჭმა ბანდული გაგლიჯა და ფეხიც გამიჭრა.

ამ სიტყვებით კოჭლობით მივიდა ქვასთან, ჩამოჯდა და ფეხთსაცმელის ხდა დაიწყო.

— მაი, მე გაგხდი, — მიუახლოვდა პირველი მოსაუბრე.

— არა მინდა-რა შენაი ჭირაიმე, არა!... მე თავად გავიხდი, — უპასუხა ონისემ, რომელმაც აღარ იცოდა, რა საშუალება ეხმარა, რომ მარტო დარჩენილიყო.

— ბეჩაო, ჩემო თაო, — დაიწყო ისევ უცნობმა. — რას მეხათრები, ბალღი ხომ არა ხარ?... მაი გაგხადო! გაიშვირა ხელები.

— არ მინდა, მე თავადაც გავიხდი. ვეღარ მოითმინა ონისემ და შეუტია, მაგრამ ჩქარა ისევ თავი შეიკავა და დამშვიდებით უთხრა:

— აგერ მზე გადიწვერა, ნულარა გვიანობ... მე დაღალული ვარ და პატარას დავისვენებ.

მეორე მოხევემ შეხედა, აღარა უთხრა-რა, ჩამოიფხატა თვალებზედ ქუდი და გასწია. ონისე კი ღორღიანებში გადავიდა და იქ ისე მიიმალა, რომ ჩამომვლელებს ვერ შეემჩნიათ, თუმცა თითონ იმათაც ხედავდა და მოხილე ქალებსაც, რომელთ შორის ძიძიაც იყო, უთვალთვალებდა.

სამებაში მყოფი ხალხი მალე ჩამოიკრიფა, რადგანაც ყველა შინ მიეშურებოდა, რომ დანიშნულის დროსთვის მომზადება მოესწრო და ზოზინობისთვის ამხანაგების სასაყვედურო არ გამხდარიყო.

ონისე იჯდა თავის საფარში და

*) იხილე «დროება» № 199.

ლიან მაშინ უადვოკატოდაც წარსდგეს სამართლის წინაშე და ორის სიტყვით გამოხატოს თავის საჩივარი, რომლის ქაღალდზედ გამოსახვისათვის ეხლა უექველად ადვოკატები უნდა მონახოს. ნუ იქნება ხალხში ეხლანდელისთანა მოთხოვნილება ადვოკატებისა და ეს უკანასკნელნიც ისე ველარ ინავარდებენ სხვა-და-სხვა სასამართლოების კარებზე და მათი ზნეობის გამრყვნელი მაზანდაც უსათუოდ დაეცემა.

## შინაური ქრონიკა

— საქალაქო გამგეობას გაზაფხულზევე შეუდგენია მოხსენება (ჯერ საბჭოს არ განუხილავს) იმის თაობაზედ, რომ ერევნის მოედანი სემინარიასა და თამამშოვის ქარვასლის შუა საქალაქო ბაღად გადაკეთდეს, ხოლო ბაზარი და სავაჭრო დუქნები გადატანილ იქმნენ სხვაგან, სხვა მოედნებზე. გაზ. „კავკაზს“ მოჰყავს ეს ამბავი და ამბობს, რომ ეს გარემოება არავისთვის არ უნდა იყოს შესაწუხებელი, ხოლო ამ მშვენიერის მოედნის ბაღად გადაქცევა, უსუფთაობისა და ტალახისაგან განთავისუფლება ნამდვილს სარგებლობას მოუტანს ქალაქს, რომელიც სწორედ შვებითა და სიხარულით უნდა მიეგებოს საქალაქო გამგეობის განზრახვასაო.

— დღეს, საღამოს 11 საათზედ და 15 წამზე გამოჩნდება ჩვენში მთვარის დაბნელება. სრული დაბნელება დაიწყობა შუაღამეს რომ 15 წამი გადასცდება და გაგრძელდება 1 საათი და 48 წამამდე. ეს დაბნელება გამოჩნდება ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, სამხრეთ-ამერიკაში, ჩრდილო-ამერიკიდამ აღმოსავლეთისკენ და დასავლეთ-ავსტრალიაში.

— ჩვენ შევიტყეთ, რომ გრაფი შერემეტიევი ამ თვის 9 მისულა თავის ახლად შეძენილს მამულში. ხალხს პატივისცემით მიუღია მთამომავლობით ასეთი გამოჩენილი თავისი ახალი წევრი. როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, ეს მამული უწინ აბხაზისა იყო, მაგრამ ვალში ნ. ამატუნს დარჩა, რომელმაც ახლა მიჰყიდა შერემეტიევს. სოფელმა თავისუფლად ამოისუნთქა, რაკი ახალი მემამულე დაინახაო — გვწერს კორესპონდენტი. იმედია, ვილაც მოურავი ამატუნისა ჰაჯი-ალა და მისი ვექილი შ—ევი თავის გუდა-ნაბადით აიბარგებიან აქედამ და კვლავ აღარ შეგვაწუხებენო.

— ბათუმიდამ გვწერენ: «აქ მამასისხლად არის ყოველივე ხორაგეული და საჭმელ-სასმელი: ხორცი გირვანქა ორი შაურია — მერე ისიც ხარისა, რომელიც ისეთი უხარშელა რამ არის, რომ სადილად ძლივს მოესწრობა კაცსა. თუმცა რკინის გზის შემწეობით ღვინო, კვერცხი, მწვანილი და სხვა იმერეთიდგან ბევრი შემოდის, მაგრამ იმერული წყალ-ღვინო ბოთლი ხუთი შაურია — აბაზად ხომ ისეთ ღვინოს ჰყიდიან, როგორც «კლუკვენის კვასი», ანუ კინკრიჟოს წვენი. წითელი ბადრიჯანი გირვანქა ორი შაურია! როგორც გვესმის, თბილისის გუბერნიაში ფუთი ფქვილი ათი შაურიაო, ბათუმში კი მეორე ხარისხის პური 4 კაპეიკია გირვანქა. ერთი სიტყვით, აქაური ვაჭრები, როგორც უნდათ, ყველაფერს ისე ჰყიდიან: ამათთვის არც მაზანდა და არც სინიდისი არსებობს. ნეტავი ვიცოდეთ, ვისი რიგია, რომ ვაჭრების თვალყური ადევნოს და ასე უწყალოდ არ აყვლეფინოს ჩვენი თავი.

— გამოვიდა და დაურიგდა ხელისმომწერელთ ივლისისა და აგვისტო წიგნი ჟურნალის «ივერიისა». ეს წიგნი შეიცავს შემდეგს შინაარსს:

ა). ლელია, რომანი ჟორჟ ზანდისა, თარგ. კნ. ნ. ერისთავისაგან (დასასრული), ბ). პროფესორი პატკანოვი და ქართულის ისტორიის წყაროები დ. ბაქრაძისა. გ). საანდაზო ლექსები, ამოკრეფილნი «ვეფხვისტყაოსნიდამ». „ძილილა და მანიდამ“ და ბურამიანიდამ (დასასრული). დ). ქართველთ საერთო ენის ფილოლოგიასა და ლექსიკოგრაფიაზედ (ფილოლოგიური ესკიზები), ა. გრაენისა. ე). ხილად (კიდით-კიდემდე). ვ). შენიშვნები ჩვენს ცხოვრებასა და ლიტერატურაზედ. ზ) შინაური მიმოხილვა.

დამატება:

ჱ). ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების საქმეთა წარმოება 1883 წ. მაისის 15-დამ 1884 წ. მაისის 15-მდე. თ) მასალა ისტორიისათვის. შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა.

— გაზ. „ნოვოე ობოზრენიეში“ შემდეგი ამბავი სწერია: „ამიერ-კავკასიის თათრებს ჩვეულებად ჰქონიათ ქალის მოტაცება არა თუ მშობლების წინააღმდეგ, არამედ თვით მოტაცებულის დაუკითხავადაც. ასეთი ამბავი მოხდა გუშინ თბილისს ახლო. ქალაქიდამ 8 ვერსის მანძილზე არის პატარა სოფელი, რომლის ახლოც მთიდამ ჩამოსული თათრები დამდგარან. ერთს მათგანს მოსწონებია რვა წლის პატარა ქალი ადგილობრივის მცხოვრებელისა, უნახავს რომ ბავშვის მამა შინ არ არის, მოუტაცნია სხვებთან ერთად და გამოუწევნიათ. მამა დასდევნებია უკან და მოუსწრია მტაცებლებისათვის ყურაზე და წაურთმევია ქალი, მაგრამ ჩხუბის დროს ერთს თათარს ჩაუგდია ხელში ქალის პატრონის ცხენი, შემხტარა ზედ და გაუქუსლავს. სხვანიც გაქცეულან. ამბობენ, რომ პოლიციამ ერთი მათგანი კიდეც დაიჭიროო.

— ყველას მოეხსენება, რომ ჩვენი სამართალი და სასამართლო დაწესებულებანი სისწრაფეს ვერ დაიკვეხებენ საქმეთა-წარმოების მხრით. სხვა სიკეთესთან ჩვენის სამართალის ასეთი ნაკლულევანება შეიქნა მიზეზი, რომ დღეს იუსტიციის სამინისტროს განუზრახავს სხვა-და-სხვა ცვლილების შემოღება. მას შეუმუშავებია პროექტი დასამატებელ ხარჯთ-აღრიცხვისა და შტატებისათვის კავკასიის სასამართლოების უკეთესად მოსაწყობად. ამბობენ, რომ თბილისის სამოსამართლო პალატის აზრს შტატების მომატების შესახებ სრულიად დასთანხმებია იუსტიციის სამინისტროც. სამინისტროს აზრით ოცი თანაშემწე მომრიგებელ-მოსამართლეთა უნდა იქმნას მომატებული. ამას გარდა, უნდა მიემატოს რამდენიმე მოსამსახურე პირი თბილისის საოლქო სასამართლოს. უნდა მოემატოს აგრეთვე ქუთაისისასაც. თბილისის სამოსამართლო პალატაში ხუთი თარჯიმანი უნდა კიდევ იქმნას დანიშნული და თითოს ექვსას-ექვსასი მანათი უნდა მიეცეს ჯამაგირი.

ერთის სიტყვით თითქმის ყოველგვარი სამოსამართლო დაწესებულება ამ პროექტის ძალით უნდა გაძლიერდეს, როგორც ახალთა პირთა მომატებით, ისე მეტის ფულისა და ხარჯის აღრიცხვით საქმეთ-წარმოებისა და კანცელარიისათვის.

---

გულის ძგერით გასცქეროდა ქალებს, სადაც ხილსა ჰკრეფდენ და თავისუფლად ერთმანეთს ელექსებოდენ.

მარტო ძიძია განმარტოებულიყო ამ საერთო მხიარულებას და ცალკე გასული, ფერ-წასული და დაღონებული თავ-აუღებლივ ხილსა ჰკრეფდა.

შორიდგან რომ შეგეხედნათ ქალებისთვის, მაშინათვე იფიქრებდით, რომ ძიძია იმათ თაბუნს არ ეკუთნოდა, იმათთან საერთო არა ჰქონდარა და არც არაფერი აკავშირებდა მათთან. ონისე გულ-ამღვრეული, გონება-დაფანტვით შესცქეროდა მოხევის გოგოს და ჰგრძნობდა, რომ მისი ფიქრების მიზეზი ის იყო; უნდოდა დაეძახა: აქა ვარ, აქ მოდი. მე ვარ შენი ტოლი, მხოლოდ მე შემიძლიან შენი გახარება. მაგრამ სიტყვა პირში უწყდებოდა, რადგანაც ძიძიას ამხანაგებისთვის არ უნდოდა შეეტყობინებინა არც თავისი სიახლოვე და არც თავისი გულის პასუხი. ის ერიდებოდა ძიძიას სახელის გატეხას, მოყვნებას ქვეყანაში.

ქალები თან-და-თან უახლოვდებოდენ იმ ადგილს, სადაც ონისე იყო დამალული, და მათს მოახლოებაზედ-კი მოხევეს ცახცახი ეკიდებოდა. ის ჰგრძნობდა, რომ ძიძიას მოახლოებასთან ერთად რაღაც ძალა ემატება, რომელიც თან-და-თან მაგრადა ჰკრავს და ჰბოჭავს მოხევის გულს, თან-და-თან მეტის სიმძლავრით და მედგრად იზიდავს თავისკენ.

ერთბაშად ქალები გაბრუნდენ სრულიად სხვა მხრისკენ და ონისემ-კი სიხარულით კინაღამ შეჰკივლა, რადგანაც დაინახა, რომ ძიძია დანარჩენს ამხანაგებს გამოშორდა და პირ-და-პირ მოხევისკენ წამოვიდა.

ონისეს ქშენამ იქამდის მოუმატა, რომ გულმა ძალზედ დაგა-დუკი დაუწყო და განუწყვეტლივ სულსა სტაცებდა.

ძიძია გადმოვიდა ღორღებზედ, დადგა კალათა და ჩამოჯდა იქვე მოჩუხჩუხე წყაროსთან, რომელსაც მიაპყრო სევდიანი თვალები და დაფიქრდა.

ონისე მიიზიდოდა ქალისკენ, მაგრამ რაღაცა გრძნობა ძალას ართმევდა და გაუბედაობაში აგდებდა. ხანდისხან იმ მდგომარეობამდისაც-კი მიდიოდა, რომ პირ მოკუმულს სუნთქვაც-კი ველარ გაებედა, რათა ჰაერის მცირედის მოძრაობითაც არის მისთვის მყუდროება არ დაერღვია და ნაზი ქმნილება არ დაეკრთო.

ძიძიამ ერთბაშად ამოიოხრა, მოერია თვალზედ ცრემლები და წყნარის ზუზუნით მღერა დაიწყო. მერე მარგალიტსავით გადმოეკიდა გძელსა და შავს წამწამებზედ ცრემლი; იმას მოჰყვა მეორე და ქალმა წყნარად ტირილი დაიწყო.

ონისემ სატანჯავს ველარ გაუძლო და ჩუმად მიუახლოვდა.

— ქალაუ, რაი გატირებს? ნიავსავით ჩუმის ხმით ჩაიჩურჩულა ონისემ, მაგრამ ეს ხმა იქამდის ძრიელად ეჩვენა ძიძიას, რომ მხოლოდ შემოხედვა მოასწრო და გაშეშდა. ძიძია იჯდა გაქვავებულსავით, შესცქეროდა ონისეს და მხოლოდ ტუჩების მოძრაობა უმტკიცებდა, რომ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა.

— მითხარ ქალაუ, მითხარ... დაიწყო ისევ ონისემ და ძიძიას წინ ჩაიჩოქა. რაისთვი მერიდები, განა შენი ხელის მომკიდე არა ვარ?..

ძიძია შეინძრა, მის ლოყებს სიცოცხლის ნიშანი დაეტყო, ელფერი შეუთამაშდა, თვალებმა ბრწყინვა დაუწყეს და გაოცებულს ტუჩებზედ სიხარულის ღიმილი დაეტყო. ძიძია კარგა ხანს იყო იმ მდგომარეობაში, როდესაც კაცს გაოცება ნებას არ აძლევს თავისი გრძნობა გამოირკვიოს. ბოლოს წინ გამოიშვირა ხელები და წყნარად, მაგრამ გარკვევით, წარმოსთქვა:

— ონისე!.. საით მოხვედი?

ონისე თან-და-თან უახლოვდებოდა ქალსა, რადგანაც ნახევრად მიწოლილი ხელებზედ დაყრდნობილიყო და ხელები-კი ცახცახით თან-და-თან ქალს უახლოვდებოდენ. მოხევე შესცქეროდა ძიძიას აღგზნებულის თვალებით და აშკარადა სჩანდა, რომ ამდენი ხნის განშორებას მის გულში ტრფიალობის ცეცხლი არამც თუ ვერ გაექრო, არამედ უფრო გაეძლიერებინა და მისი გული სატრფოსთან შეყრის სურვილს უფრო გაეკაპასებინა. მისს მეცადინეობას ამაოდ ჩაევლო, რადგანაც მხოლოდ ერთი შეხედვა ძიძიასთან, ერთი თვალის მოკვრა საკმარისი იყო, რომ ყოველისფერი ხელახლად გადაევიწყებინა და აკანკალე-

ცხვი ამ ცვლილებათათვის 124.000 მ. იქნებაო („იურიდ. ობოზრ.")

=ამავე გაზეთს შეუტყვია, რომ ეს პროექტი სამინისტროს წარმოუგზავნია თბილისის სამოსამართლო პალატის უფროს თავმჯდომარისათვის, რომელმაც თავისი აზრი უნდა გამოსთქვას, თუ, ვინიცობაა, საჭიროდ დაინახავს, რა დამატება ან რა ცვლილება უნდა დაერთოს ამ პროექტს.

=სექტემბრის 16, დილის თერთმეტს საათზე, მის ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსს უკურთხებია ახალი სახლი და ეკლესია თბილისის საეპარხიო საქალებო სკოლისა, რომელიც იმყოფება ანდრეევსკის ქუჩაზე (გაზ. «კავკაზი»)

=იმავე გაზეთის სიტყვით, არხეოგრაფიულს კომისიას დაუწყვია საარხეოგრაფიო აქტების მე-X-თე ტომის ბეჭდვა. ეს ტომი შეიცავს მასალას ბრწყინვალე თავ. მ. ს. ვორონცოვის მთავარ-მმართებლობისას კავკასიაში. მაშასადამე, შეიძლება წინდაწინვე ვსთქვათ, რომ მეათე ტომი აქტებისა დიდად საყურადღებო და საინტერესო უნდა იყოს ჩვენის საზოგადოებისათვის.

=«კავკაზს»-ავე შეუტყვია, რომ რეალური სასწავლებლის დირექტორი პენჩინსკი თავს ანებებს სამსახურს, რადგანაც დიდი ხანია, რაც მსახურობს და დაწესებული წელთ რიცხვი პენსიის დამსახურებისათვის შეასრულაო. მის ალაგს როგორც ამბობენ, ამლევენ ეხლანდელს ინსპექტორს ივანენკოსაო.

=გაზეთ „მწყემსში" „ჭეშმარიტების აღდგინებისა გამო" სწერია შემდეგი: „მწყემსის" მე-17 №-ში ჩვენ დავბეჭდეთ რამდენიმე სიტყვა, რომელიც საკმაოდ ამტკიცებდა ჩვენი კორესპონდენტების ზოგიერთ შემცდარ აზრს შესახებ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსის მოქმედებისა გალობის აღდგინების შესახებ. ამ საქმის თაობაზედ ჩვენ კიდევ მივიღეთ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრესაგან «მწყემს»-ში დასაბეჭდათ, სიმართლის აღდგინებისათვის, წერილი, რომელიც შესდგება ხუთი მუხლისაგან, ხუთი კითხვის ასახსნელად. ის წერილი თითონ ალექსანდრე ეპისკოპოსის ხელით არის დაწერილი. აი სიტყვები თვით ყ—ად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსისა:

«ა) მე არა თუ წინააღმდეგი არასოდეს არ ვყოფილვარ ქართული გალობის ნოტებზე გადაღებისა, არამედ, საქართველოს ეგზარხოსის ნება დართვით, მე თვითონ ვცისრულობ ქართული და კახური კილოს საეკლესიო გალობის აღდგენას ჩემის ხარჯით, რაც კი მოუნდება ამ საქმეს.—

ბ) მე არასოდეს არა ვყოფილვარ წინააღმდეგი გურული კილოს გალობისა, არამედ ვამბობდი და ვამბობ, რომ გურული კილოს გალობა კარგია თავის სამშობლოში, გურიაში, ხოლო ქართლში და კახეთში გურული გალობა ვერ მოიდგამს ფეხს, როგორც ეს დაამტკიცა გარემოებამ და გვიჩვენა გამოცდილებამ. ვამბობ, რომ გურული კილოს გალობა არ შეიძლება დამყარდეს, გავრცელდეს ქართლ-კახეთში ამისათვის, რომ გურული გალობა, როგორც იმერულიცა, განსხვავდებიან ქართლური გალობისაგან, როგორც კილოთი, ისე ხასიათით.— რუსეთში არის ორი გალობის კილო, დიდი როსიული—ანუ მოსკოვისა, პატარა როსიული—ანუ კიევისა. სწორედ ესევე არის ჩვენს საქართველოშიაცა, არის ორი კილო: კილო ქართლური და კახური, იმერული და გურული.

გ) მე არასოდეს არ ვყოფილვარ ქართული საეკლესიო გალობის აღსადგენი კომიტეტის წინააღმდეგი, მაგრამ მე კერძოდ არა მსურს ვიქმნე წევრად, ანუ თავს-მჯდომარედ კომიტეტისა.

დ) ფულები შეკრებილია ხელ-მოწერილი წიგნით, ქართული გალობის დასაწესებლად სასწავლებელში და არა ნოტებზე გადასაღებლად, და იმერლებისა და გურულების საზიაროდ და მათთან გასაყოფად.

ე) სიტყვა «ქისიყი» და «ქისიყური გალობა» სასაცილოდ არიან ხმარებულნი „მწყემს"-ში. მე მხოლოდ ის ვსთქვი რაპორტში ეგზარხოსისადმი, რომ გალობა მამა გრიგორი კარბელოვისა იციან კარგად მრავალთა სიღნაღში ანუ სიღნაღის მაზრაში, სადაც განსვენებული კარბელოვი ასწავლიდა რამდენიმე ხანი. სიტყვა «ქიზიყი» სრულებით არ მიხმარია. საზოგადოდ ყველა ესეები არის მხოლოდ ინტრიგობა და გამოგონებულნი აზრნი უცნობი ავტორისა, რომლის ინტრიგებითა და უმართლობითა იყო შეყვანილი შეცდომაში სასულიერო ჟურნალი „მწყემსი" და მისი რედაქტორი, კინაიდგან განურჩევლად და გამოუკვლევლად იბეჭდებოდენ ეს წერილები «მწყემსის» სვეტებზე ამა წლის ივლისში და აგვისტოს თვეებში №№ 13, 14 და 15-ში.

გულითადს მადლობას ვუძღვნით პატივცემულ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს ამ პასუხის გამოგზავნისათვის. მართალია, ზოგიერთი მკითხველები ხსენებული კორესპონდენციებისაგან ეჭვში იყვნენ შეყვანილნი, მაგრამ ამ პასუხის შემდეგ ყველა ადვილად მიხვდება, თუ რა უსაფუძვლოდ ეხებოდენ ეს კორესპონდენტები ყოვლად სამღვდელოს მოქმედებას და ღვაწლს საეკლესიო გალობის აღდგინების შესახებ.

## რუსეთი

«მოსკ. უწყებებ»-ში ვკითხულობთ: «სამასწავლებლო კომიტეტს, რომელიც ხალხთა განათლების სამინისტროსთან იმყოფება, შეუმუშავებია პროექტი იმის შესახებ, რომ ყოველს საქალაქო სასწავლებელში სავალდებულოდ გახდეს ხელოსნობათა შესწავლა».

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი")

სექტემბრის 20-ს

ბრიუსელი. გაზ. „ნაციონალის" ბელგიიდგან განდევნილი რედაქტორი თანაგრძნობის დემონსტრაციებით გააცილეს; როდესაც ბრიუსელიდგან მიდიოდა იგი ხალხი ჰყვიროდა «რესპუბლიკას გაუმარჯოს» და მარსელიეზასა მღეროდა.

ბერლინი. «ჯვარის გაზეთი» იუწყება, რომ ინგლისის კონსერვატიული დასის რამდენსამე წევრს განძრახვა აქვთ წავიდენ პეტერბურგში, პარიჟში, ბერლინში და ვენაში და იქ მოილაპარაკონ იმაზედ, თუ რა საშუალებით იბრძოლონ ანარხისტების სწავლის წინააღმდეგ.

სექტემბრის 21-ს.

პეტერბურგი. გუშინ გზათა მი-

---

ბულის ხმით და მთრთოლვარე ტუჩებით მარტო ამ ქალის სახელი შერჩენოდა, თითქოს მისთვის ქვეყანაზედ ამის მეტი სიტყვა აღარ მოიძებნებოდა.

— ძიძიაუ, — ძიძიაუ!.. იმეორებდა ის მეათასედ და ხმა ისეთ გვარად ტრიალებდა, ისეთ გვარად გამოისმოდა, რომ მართლადაც თავის გრძნობის გამოსათქმელად უკეთესს ველარას მოიგონებდა.

ეს სახელი ონისესთვის მეტად ძვირფასი იყო, რომ მის თანაბარი სხვა სიტყვა კიდევ რამ ჰქონოდა, ან ისეთის ძალით წარმოთქმა შესძლებოდა. აშკარა იყო, რომ ძიძიაცა ჰგრძნობდა ამ სიტყვებს, რადგანაც გაკვირვება თან-და-თან შორდებოდა; მის ნაზი სხეული ონისესკენ იხრებოდა და კეკლუცი სახე, რომელიც თან-და-თან მეტად ენთებოდა, მოხევეს უახლოვდებოდა.

ბაიარა წუთმაც და ორი დაბნედილი ქმნილება, ერთმანერთის სუნთქვისაც-კი ერთმანერთში გადამნერგავნი, მიუახლოვდა და გაშმაგებული შესცქეროდა ერთმანერთს. სწორედ ამ დროს ცელქმა და მოუსვენარმა ნიავმა დაჰქროლა და ძიძიას მოგლიჯა თავ-შალი. ხშირი და გრუზა შავი დალალები გადმოცვივდენ და ონისეს სახეს ცეცხლივით დაუწყეს. ესღა აკლდა, რომ ორთავეს უკანასკნელი ძალაც მიხდოდათ და მათი ტუჩები წუთზედ შეწებებულიყვნენ...

ვინ იცის, სადამდის გაგრძელდებოდა, სადამდის გასტანდა მათი ტრფიალი, თუ მოახლოვებული ქალების ხმაურობას შეყვარებულნი თავ-დავიწყებიდამ არ გამოეყვანა.

ძიძიას მოაგონდა თავისი მოვალეობა, რომელიც ხალხის რწმუნებით ხელის-მომკიდეს ანათესავებდა და ამ ფიქრმა გამსჭვალა. წარბები შეეკრა, სახე დაეპრანჭა და მეტის-მეტმა ტკივილმა, რომელიც გულსა და ღვიძლში უვლიდა, გააფითრა. ქალმა ხელის კვრით მოიშორა ონისე და ფეხზედ წამოიჭრა, გაბრუნდა და უკან მოუხედავად გაემართა ამხანაგებისკენ. ონისე-კი იმავ ადგილს დარჩა გაშმებული და დაღონებული, რადგანაც ჯერ კიდევ ვერ გაეგო, რა მიზეზი იყო ძიძიას ისე წასვლა.

ძიძია შეუერთდა ქალებს, რომელთაც ჩამოიარეს ღორღიანი ადგილი და ონისე კი გულის ძგერით უცქეროდა თავის სანატრელს, რომელსაც ქორწინების შემდეგ ტუჩებზედ პირველად გადაშლოდა ვარდი, თვალებში გაჰბრწყინვებოდა სიამოვნების ნაპერწკალი და ჯეირანსავით ყელ-მოღერებული კოხტად მიგოგავდა.

ონისე უყურებდა გულის ძგერით და ნება-უნებლივ გუნებაში კითხვა ებადებოდა: «ასე თავი რად დაანება, რატომ არა უთხრა-რა, ან კიდევ შეხვდებოდა როდისმე მასთან ალერსის»?

ქალები გასცდენ და ონისეც წამოდგა ზეზედ. ის გაიზმორა, მედიდურად მიიხედ-მოიხედა და რაღაცა ძალი იგრძნო, რომელსაც თავის თავს დღემდის ვერ ამჩნევდა. ძიძიას უყვარდა— ქვეყანა თვისი ეგონა!..

## XIV

სადაც ეხლა საქართველოდგან ჩრდილოეთისკენ გზა მიდის, სოფ. კობის ქვეიდგან, რაკი სამტვეროს მინდორს ჩამოსცდება, გზა გრკალსავით იხრება და სამ-მხრივ ჩამოლესილს სიონის კლდეს სარტყელსავით ერტყმება. ზედ კლდის წვერზედ ამაყად ამართულა მაღალი კოშკი, რომელიც მედიდურად და მტრის გულის გასახეთქად სდარაჯობს იმ ხეობას. ეს ადგილი მბძანებლობს იქ გასავლელს ადგილებზედ და მოსავლელი მხოლოდ ნაროვანის უღელტეხილიდგანა აქვს. შემკობილი მშვენიერის საძოვრით, წყლითა და ტყითა, ბუნებითვე ძნელს გასატეხს სიმაგრედ შექმნილი, ხევისთვის წარსულს ცხოვრებაში ერთსა და უპირველეს სანუგეშო ადგილად ითვლებოდა. სიონის კლდის თავზედ გადაშლილიყო პატარა მინდორი და ზედ გაეშენებინათ ჰქით და ბასრი ქვით აგებული სახლები, რომელნიც ბუნებისგანვე გამაგრებულს ადგილს, უფრო მეტად ამაგრებდენ.

აი ეს ადგილი გახლდათ, სადაც ხევი იკრიფებოდა, რომ წარსულის დროს მტარვალის წადილს წინ გადასდგომოდა და მისი მოსისხლე სურვილი შეემუსრა.

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

ნისტრისა, ზღვათა შტაბის უფროსისა და მრავალთა სხვათა პირთა თანადასწრებით ცკადეს, როგორ ივლიდენ სამხედრო გემნი ზღვის არეში. სულ ოთხი გემი დადიოდა. რადგან კრეისერი «აფრიკა» გარიყა და შედგა თავთხელზე, შემდეგი გასინჯვა დღეისთვის გადასდეს. როგორც ისმის, არხის ოფიციალურად გახსნა გადადებულ იქმნა გაზაფხულამდე.

,,ს. პეტერბურგის უწყებანი'' გადმოგვცემს, რომ ებრაელთათვის დაწესებული კომისია განახლებს თავის სხდომათ და განიხილავს ებრაელთა უფლებას შიდა გუბერნიებში ცხოვრებისას და მიწა-წყლის საკუთრებად შეძენისას. ადგილობრივ დაწესებულებათა მომეტებულის ნაწილის აზრით პირველის საგნის შესახებ სასურველია გავრცელებულ იქმნას ებრაელთა უფლება შიდა გუბერნიებში დასახლებაზე, რადგანაც ეს გარემოება შეამცირებს ებრაელთა მიერ განიხის [illegible]; მაგრამ ეს გავრცელება უნდა ნელ-ნელა სწარმოებდეს, რათა სოფლის მცხოვრებელნი დაცული იქმნენ ცარცვა-გლეჯისაგან. მეორე საგნის შესახებ ზოგიერთნი დაწესებულებანი განცხადებენ [illegible] ებრაელთა უფლებას მამულების შეძენისათვის; ზოგნი კი თანხმანი არიან მიანიჭონ ეს უფლება, მაგრამ წინააღმდეგნი არიან, რომ იჯარით მიეცეთ მამულები, რადგანაც ამ გზით გლეხებს ზარალი ელოდებათ.

ორანი, ალჟირში. აქ ხოლერა გაჩნდა. მოკვდა ათი, კიდევ ავად გახდა თერთმეტი.

ქაირი. როგორც ისმის, ჟოლლდი [illegible] დაებარებიათ.

## ცნობანი

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე 1884 წ.

გამოცხობილი ხორბლის პური:

| | | |
|---|---|---|
| სითის ფქვილისა— | —1 გირ. | 5 კ. |
| ახვერის ფქვილისა:პირ. | | |
| ვლის ხარისხისა— | —1 გ. | $2^{1}/_{2}$ |
| მეორისა— — | —1 გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამოცხობ.: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გ. | $4^{1}/_{2}$ |
| მეორისა— — | —1 გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 გ. | $2^{1}/_{2}$ |
| ჯვარის-მამა პური: | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 გ. | $4^{1}/_{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 გ. | $3^{1}/_{2}$ |
| მესამისა — — | —1 გ. | 3 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | 7 კ. |
| მეორისა — — | —1 გ. | 6 კ. |
| სუკი . . . | —1 გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გ. | 7 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | — კ. |
| მეორისა— — | —1 გ. | — კ. |

## განცხადებანი

გამოცხადება

გორის საქალაქო გამგეობა (უპრავა)

აცხადებს საყოველთაო ცნობისათვის, რომ ამ გამგეობის სამსჯავროში დანიშნულია ოცდა-ცხრას ამა სექტემბრისასა ვაჭრობა, გარდა განმეორებით ვაჭრობისა, საქალაქო ფარნების ანთების გაცემაზედ ერთის წლის ვადით. ამ ვაჭრობის პირობები შეიძლება გაისინჯოს გამგეობის კანცელიარიაში ყოველ დღე დილის ცხრა საათიდგან შუადღის უკან ორ საათამდე. (3—1)

---

ერთს ქალსა სურს აღზრდოს ბავშვებს ოჯახში და უქეროს ტანთსაცმელი. თანხმაა თბილისის გარედ გასვლაზედაც.

ადრესი დასტოვეთ ,,დროების'' რედაქციაში. (5—3)

---

საქართველო - იმერეთის სომხთ-გრიგორიანის საეპარხიო კონსისტორიის მიერ დანიშნულია სეკტემბრის 21 ვაჭრობა, რომელიც 24 იქნება განმეორებული, 12 დუქნის ქირით მიცემაზე. დუქნებს აქვთ ოთახი და სარდაფი, ეკუთვნიან კუკიის სომხთ ყოვლად-წმინდა ღვთის-მშობლის ეკლესიას და იმყოფებიან საეკკლესიო და ვორონცოვის სანაპირო ქუჩაზედ. (3—3)

---

### თბილისის ახლად გახსნილის სამკლასიანის საქალაქო სასწავლებლის მმართველნი

ამით აცხადებენ საყოველთაოდ, რომ თხოვნების მიცემა და ყმაწვილების ეგზამენები ხსენებულს სასწავლებელში მიღებაზედ გაგრძელდება ოცდა-რვა სექტემბრამდე ამა 1884 წლისა. თხოვნების შემოტანა და ბავშვებისაგან ეგზამენების დაჭერა შეიძლება ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის რვა საათიდგან ვიდრე თორმეტ საათამდე. სწავლა დაიწყება ორს ოქტომბრიდგან.

სასწავლებლის სადგომი იმყოფება ავლაბარში, როჩოვის ქუჩაზედ, ვარძიგულოვის სახლებში, № 15, პურის საწყობის მაღაზიის (продовольственный магазинъ) ახლო. (3—3)

---

არწრუნისეულ ქარვასლაში

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—13)

ვაჭრობა საღებავებით

კავკასიის ამხანაგობისა (გრაფის ქუჩა მუზეუმის პირდაპირ.)

საღებავები ხმელი და თხელი შეზავებული ზეთით.

ლაქი ზეთიანი და სპირტისა, სხვა-და-სხვა გვარი ხანგალი (კისტი) და ყოველნაირი კუთვნილებანი საღებავით ვაჭრობისა—აქვე შეიძლება იშოვონ ერთგვარი თხელი ნივთიერება, რომელიც სინოტივეს აცილებს თავიდამ. ხე, ქვა ანუ აგური, ამ ნივთიერებით დაფარული (Enduit hydrofuge)—მიუკარებელია სინოტივესათვის.

სხვა ქალაქებიდამ მოთხოვნილებანი კმაყოფილდებიან დაუკვირებლად. (70—61)

დაიბეჭდენ და ისყიდებიან

თბილისის და ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიებში

ქადაგებანი

იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა,

თქმულნი 1860—76 წლებში, ტომი პირველი, გამოცემა მესამე,

ფასი მანათ-ნახევარი

თბილისიდგან ამ წიგნის დაბარება შეიძლება ასე: Въ Тифлисъ, въ Закавказскую книжную торговлю Зах. Петр. Грикурова. ქუთაისიდგან—იმერეთის ეპისკოპოზის კანცელარიიდგან. (10—9)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დედანი ქართული წიგნისა, სურათებით, შედგენილი იაკობ გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა და ისყიდება გამომცემლის ზაქარია მრიქულოვის მაღაზიაში. ფასი ექვსი შაური; ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოცი ცალისა, დედანი დაუთმობა ხუთ შაურად. აგრეთვე ისყიდება იქვე და სარაჯისოვის მაღაზიაში ლიტოგრაფიაში დაბეჭდილი დახაზული ქაღალდი, თაბახი კაპეიკ-ნახევარად. რვეულები [illegible] და [illegible]: ორ-თაბახიანი ოთხ კაპეიკად და ოთხ-თაბახიანი რვად.

კონა საუმჯობესო მოთხრობების ბუნების მეცნიერებიდგან, მეორე შევსებული გამოცემა, სურათებით, ისყიდება იქვე, ფასი ათი შაური, ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოცი ცალისა, წიგნი დაეთმობა 42 კაპეიკად. (10—5)

საკლობუ  ალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი საგენტო ინგლისის მაღაზია. იქვე აურზებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები ყოველთვის «ხელ-ფასისთვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელნი, ქაღალდი, კონვერტები, რვეულები, დაფა, კარანდაში, ზეთი, კალმები, ბუმანიკები, ზორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატელი, საძერთებელი, სანთელი, სასეისი, ცარცმუშები ფურცლის საწმენდ (ბორბკეი) თეთრეულისთვის, პატარა ხელები იატაკისთვის, კლიოინები, ტატები, საჯრებები, სარკები, საკურკელები, ბეზმენი, ზარები, ბანოკლები რეზენტები, კატერეხანები, მზის-სხივები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწყვები, ნემსები, მაგნიტები, სასტოკი, ზომოზი, ქამრები, სარტყლები, ბრობები, საბრობები, კრანები, ფილტრები, შრიტები, თავისფ ტანისამოსისა, ცხენის და ჰუტენტიანი მაგიტრომები, კრიგები, საქემი ქაღალდი ტტერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაკი—20 კ. (100—11)

Доз. ценз. Тифлисъ, 21 Сентября 1884 г. სტამბა არ. ძალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი